საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში კვლევებისა და დამუშავებების გამოკვლევა

2023

01.11.2024
www.geostat.ge

01.11.2024

უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში კვლევებისა და დამუშავებების გამოკვლევა

(2023 წელი)

2023 წელს, საქართველოში მეცნიერულ კვლევებს ახორციელებდა 63 დაწესებულება, რომელთა მიერ წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების ჯამურმა მოცულობამ 202.9 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 18.7 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

კვლევებსა და დამუშავებებზე დასაქმებულთა რიცხოვნობა 0.8 პროცენტით გაიზარდა და 15 215 შეადგინა, რომელთაგან 13 114 ერთეულს წარმოადგენდნენ მკვლევარები. მკვლევარების 54.4 პროცენტი ქალია, ხოლო 45.6 პროცენტი - კაცი.

მკვლევართა 68.8 პროცენტი არის დოქტორი ან მასთან გათანაბრებული, 28.4 პროცენტი - მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული, 2.8 პროცენტი ბაკალავრი ან მასთან გათანაბრებული.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მკვლევარების განაწილება განათლების დონისა და სქესის მიხედვით.

დიაგრამა №1

მკვლევარების განაწილება განათლების დონის და სქესის მიხედვით 2023 წელს

(%)



რაც შეეხება მკვლევარების განაწილებას ასაკის მიხედვით, ქალების შემთხვევაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მოდის 45-54 წლის ასაკობრივ ჯგუფზე (22.0 %), ხოლო კაცების შემთხვევაში - 65 წლის და უფროსი ასაკის ასაკობრივ ჯგუფზე (26.6 %).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მკვლევარების განაწილება ასაკისა და სქესის მიხედვით.

დიაგრამა №2

მკვლევარების განაწილება ასაკის და სქესის მიხედვით 2023 წელს

(%)



მკვლევარების ყველაზე დიდი ნაწილი სოციალური მეცნიერებების მიმართულებით მუშაობენ, რომელთა საერთო რიცხოვნობა 3 215 კაცს შეადგენს (24.5 %). ხოლო ყველაზე მცირე ნაწილი სოფლის მეურნეობისა და ვეტერინარიის მიმართულებაზე მოდის, სადაც 470 პირია დასაქმებული (3.6%).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მკვლევარების განაწილება სამეცნიერო სფეროების მიხედვით.

დიაგრამა №3

მკვლევარების განაწილება სამეცნიერო სფეროების მიხედვით 2023 წელს



მონაცემთა წყარო: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

საკონტაქტო პირები:

ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600), E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge